

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დებულებიდან გამომდინარე, მასზე ქვეყნის ურბანული განვითარებისათვის დაკისრებული ფუნქციების უფრო ეფექტური განხორციელების ხელშეწყობა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანა, რომლის საფუძველზეც მთავარი არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექცია, როგორც სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება შევა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გამგებლობაში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანას. კერძოდ, კანონპროექტის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტში და მე-3¹ მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-6 პუნქტებში, რომლის საფუძველზეც მთავარი არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექცია, როგორც სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება შევა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გამგებლობაში, მის დებულებას დაამტკიცებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი და მთავარი არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექციის უფროსს თანამდებობაზე დანიშნავს ეკონომიკური განვითარების მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

ბ) კანონის ცვლილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონის ცვლილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონის ცვლილების პროექტის მიღება არ მოითხოვს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ კანონის ცვლილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე
კანონის ცვლილების პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონის ცვლილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე
კანონის ცვლილების პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები
კანონის ცვლილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას

ბ.ე) კანონის ცვლილების პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)
კანონის ცვლილების პროექტით არ დგინდება რაიმე სახის მოსაკრებელი

გ) კანონის ცვლილების პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონის ცვლილების პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონის ცვლილების პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.ბ) კანონის ცვლილების პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონის ცვლილების პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონის ცვლილების პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის ცვლილების პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

კანონის ცვლილების პროექტი შემუშავებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ.

დ.ბ) კანონების ცვლილების პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

კანონების ცვლილების პროექტი არ ყოფილა წარდგენილი დამოუკიდებელი ექსპერტებისათვის.

დ.გ) კანონის ცვლილების პროექტის ავტორი

კანონის ცვლილების პროექტის ავტორია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო

დ.დ) კანონის ცვლილების პროექტის ინიციატორი.

კანონის ცვლილების პროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.